

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბრძანება

10. 07. 2017 წელი

75/2

----- ქ. თბილისი № -----

**2017 – 2018 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის
დარეგულირების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურებზე სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 – 2018 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
 - ა. 2017 – 2018 სასწავლო წელი უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ საფეხურზე დაიწყოს 2017 წლის 18 სექტემბერს
 - ბ. სააუდიტორიო მეცადინეობები დამთავრდეს 2017 წლის 30 დეკემბერს
 - გ. ზამთრის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 08 იანვრიდან 2018 წლის 03 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 05 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით

- დ. 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 07 იანვრის ჩათვლით გამოცხადდეს საშობაო არდადეგები
- ე. სემესტრებს შორის არდადეგები გამოცხადდეს 2018 წლის 12 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით
- ვ. 2017 – 2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს 2018 წლის 19 თებერვალს და დამთავრდეს 02 ივნისს
- ზ. ზაფხულის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 04 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 02 ივლისიდან 07 ივლისის ჩათვლით
- თ. სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე კვირის გარდა. ლექციები დაიწყოს 9.00 საათზე
- ი. აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთით
2. 2017 – 2018 სასწავლო წლის I სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2017 წლის 01 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია - 18 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით.
3. 2017 – 2018 სასწავლო წლის II სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის აკადემიური სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2018 წლის 01 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია - 19 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.
4. სტუდენტებს, რომლებიც ამ ბრძანების მეორე და მესამე პუნქტით დადგენილ ვადებში არ გაივლიან რეგისტრაციას, შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი.
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი წესრიგდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს /გ. შალუტაშვილს, ო. ლითანიშვილს, ნ. გენგიურს/ დაიცვან ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყონ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის რეგისტრაციის ვადების ინდივიდუალურად გაცნობა.

7. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., № 6.

საფუძველი: აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება

ოქმი № 13 07.07.2017 წელი

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი